



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 171

ქალაქი ქუთაისი 29 მაისი 2019 წელი

გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, მერაბ კვიციანიძის ანგარიშის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 44-ე, 45-ე, 46-ე და 47-ე მუხლების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-14, მე-15 და 130-ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მერაბ კვიციანიძის ანგარიში.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მერაბ კვიციანიძის ანგარიში განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

**გაწეული მუშაობის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, მერაბ კვიციანიძის ანგარიში**

როგორც საკრებულოს ავტოქარხნის მაჟორიტარი წევრი, წარმოგიდგენთ ანგარიშს მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩემი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, გაწეული მუშაობის თაობაზე.

კერძოდ:

საარჩევნო კამპანიის დროს, შედგა კომუნიკაცია ოჯახებში, მივედი 2378 ოჯახთან, დაახლოებით, 7130 მოსახლესთან, დღეში ორჯერ მქონდა შეხვედრები მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებთან. ასევე შეხვედრები ჩავატარე ტრანსპორტში. დაინერგა ამომრჩევლებისათვის დაბადების დღეების მილოცვის ტრადიცია, რაც დღეში საშუალოდ, 50-60 ამომრჩეველს მოიცავდა. შემოვლის შედეგად შესწავლილ იქნა ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში ინფრასტრუქტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის პრობლემები. არჩევნების შემდეგ გაიხსნა და კეთილმოეწყო მაჟორიტარის ოფისი ავტოქარხნის ოლქში (კიევის ქუჩა N10, სამედიცინო კოლეჯის შენობაში), სადაც ყოველ სამშაბათ დღეს, 3-დან 7 საათამდე მიმდინარეობს სავალდებულო შეხვედრები მოსახლეობასთან, ხოლო ანალოგიურად, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში, საღამოს 6 საათის შემდეგ, გრძელდება შეხვედრები მოსახლეობასთან. 295 ბენეფიციარს ჩემ მიერ, გადაეცა უფასო მედიკამენტების 25 ლარიანი ვაუჩერი (5900 ლარი). უკვე 11-მა მოსწავლემ (წინა წელს) მიიღო მაჟორიტარის სახელობის სტიპენდია – 50 ლარი ყოველთვიურად (2200 ლარი). 2018 წლის 5 ნოემბრიდან დღემდე, გაიცა 8 ბავშვზე სტიპენდია.

ყოველი თვის პირველ და მესამე შაბათს, აღნიშნულ ოფისში უფასო ამბულატორიულ გასინჯვებში მონაწილეობა მიიღო 1700-მდე ბენეფიციარმა (აქ შედის შემოვლისას ბინაზე მონახულებული და გასინჯული ბინას, ან საწოლს მიჯაჭვული ბენეფიციარები). შემოვლისას აღმოჩენილ იქნა პირები, რომელთაც არ გააჩნდათ სოციალური პაკეტი, ამიტომ მათთვის მოძიებულ იქნა შინამშენებლის პროგრამა, რაშიც ჩართული იქნა 19 ბენეფიციარი. 42 ბენეფიციარს გაეწია მედიკამენტოზური დახმარება საკუთარი ხარჯებით.

ამა წლის 17 იანვარს, მოეწყო საყოველთაო ჯანდაცვისა და მუნიციპალური თანადაფინანსების ერთობლივი მოდელის წარდგენა, რაც გულისხმობს საყოველთაო ჯანდაცვაში მონაწილე ბენეფიციარებისათვის მუნიციპალური თანადაფინანსების პირობებში ერთობლივი სრული პაკეტის განხორციელებას. „პჯდ“ თანადაფინანსების პროექტის განხორციელება ქალაქის მასშტაბით, დღემდე ვერ მოხერხდა, ხოლო ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში მისი განხორციელება პილოტურად დავიწყეთ. ამ უკანასკნელის ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის მიხედვით არ იქნა ბიუჯეტში გათვალისწინებული დაფინანსება. ასევე, ვერ მოხერხდა ქუთაისის მასშტაბით მენტალური პრობლემების მქონე პირებისათვის მიწოდებული პროგრამის დაფინანსება.

ზემოაღნიშნულმა დამატებითი სამედიცინო სერვისების მიწოდებამ (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებს გარეთ), რომელიც განხორციელდა პილოტურად ავტოქარხნის სამაჟორიტარო ოლქში და უკვე ორი წელია მოქმედებს, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის მიმართვიანობა სტაციონარში. ეს განაპირობებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსების გადინების შემცირებას და პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში ხელმისაწვდომობის გაზრდას.

აქტიური კომუნიკაცია მქონდა მე-14, 34-ე და 37-ე საჯარო სკოლებთან, სადაც შეხვედრების ფარგლებში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა შინაარსის საჯარო ლექციები (მე-14 სკოლა – 3 ლექცია, 34-ე სკოლა – 3 ლექცია და 37-ე სკოლა – 4 ლექცია). უნდა აღინიშნოს ქუთაისში გიორგი კვინიკაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში, სადაც ნიჭიერ ახალგაზრდებთან ჩავატარე ოთხი ლექცია თემებზე: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“; „ფიზიკის

როლი თანამედროვე მედიცინის განვითარებაში“; „ცისფერყანწილები“, „ქართული ლიტერატურა: განვითარების გზები და ტენდენციები“.

ასევე, მე-7, 33-ე და 37-ე საბავშვო ბაღებში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სახის პროფილაქტიკური ამბულატორიული გასინჯვები (მე-7 ბაღი – 4 ვიზიტი, 33-ე ბაღი – 2 ვიზიტი, 37-ე ბაღი – 4 ვიზიტი), აქედან, 6 ბენეფიციარს საკუთარი პატრონაჟით ჩაუტარდა სრული კვლევა და მედიკამენტებით დაფინანსება. 2019 წლის 15 თებერვალს, ავტოქარხნის 37-ე საბავშვო ბაღში ჩატარდა უფასო სამედიცინო შემოწმება ექიმ პედიატრების მიერ.

საკუთარი ინიციატივითა და დაფინანსებით თვეში, ერთი დღით, N4ა მარშრუტის მგზავრები გადაადგილდებიან უფასოდ (უკვე განხორციელებულია 12 აქცია). ჩემი ინიციატივით, მესხის ქუჩის N27-ში, ხარებავას ქუჩის N18-22-41-ში მდებარე სავაჭრო ობიექტზე მისულ მომხმარებლებს საშუალება მიეცათ უფასოდ მიეღოთ პური. აღნიშნული აქცია დღემდე გრძელდება (19 აქცია). ავტოქარხნის მუნიციპალიტეტის მიერ გაიცა ნობათი საადღომოდ 158, ხოლო საახალწლოდ – 97 ოჯახზე. ქუთაისის ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრში უფასო სამედიცინო გამოკვლევები სამჯერ ჩაუტარდათ ქალთა ლიგის ბენეფიციარებს.

ჩემი პირადი ინიციატივით, ყველა მაჟორიტარისათვის შეთავაზებულ იქნა რიგრიგობით თავიანთი მაჟორიტარული ოლქის მაცხოვრებლებისათვის პირველი და მეორე რიგის სრული სამედიცინო მომსახურება. ასევე პირადად, როგორც ექიმი, ვიყავი და ვარ მზად ქუთაისის სხვა მაჟორიტარულ ოლქში არსებულ პაციენტებთან ჩავატარო უფასო კონსულტაციები, რა თქმა უნდა, შესაბამისი ოლქის მაჟორიტართან ერთად. ჯერჯერობით, ზემოაღნიშნული შეთავაზება მხოლოდ ერთმა მაჟორიტარმა, ბატონმა ნიკოლოზ ჩეჩელაშვილმა მიიღო და შესაბამისად, ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეულის 67 მოსახლეს ჩაუტარდა პირველი და მეორე დონის უფასო ამბულატორიული მომსახურება.

ზამთრის პერიოდში, მოსახლეობას გაეწია დახმარება შემასა და საწვავზე.

გაკეთდა წინა წელს დაგეგმილი ორი მცირე ზომის სპორტული მოედანი ავტომშენებლისა და გუნაის ქუჩების მიმდებარედ. ბეტონის საფარით სრულად გაკეთდა მგალობლიშვილის ქუჩა, ცახელის ქუჩის N7, მესხის ქუჩის N24, ტოლსტოის ქუჩის N5, არტურ ლაისტის ქუჩა (მე-14 სკოლის გვერდით). მოწესრიგდა სანიაღვრე და მოსახლეობის ჭიშკრებთან მიმავალი გზები. გაკეთდა მესხის ქუჩის N31-ში არსებული კორპუსის სახურავი (ე.წ. აეროპორტის ბინა), მთლიანად მოწესრიგდა მუსხელიშვილის ქუჩის N3-ში არსებული კორპუსის პირველ სადარბაზოს და ნაწილობრივ, მეორე სადარბაზოს სახურავი.

პირადი პატრონაჟითა და დაფინანსებით, ბეტონის საფარით შეკეთებულ იქნა N33 ბაგა-ბაღის შესასვლელი და ავტომშენებლის ქუჩაზე არსებული ერთ-ერთი კორპუსის ეზოს ნაწილი. ასევე, საკუთარი პატრონაჟითა და დაფინანსებით, მთლიანად იქნა ამოტუმბული წყალი ხარებავას ქუჩის N9 ბინის სარდაფიდან. თუმცა, ამ მიმართულებით, ბევრი რამ გასაკეთებელია.

ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში მცხოვრები 3 პირი შესაბამისი შერჩევის შემდეგ, დასაქმებულ იქნა ნაზარიშვილის სახელობის კლინიკაში. თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელესთან არსებულ მეტალურგიულ ქარხანაში სამწუხაროდ, მხოლოდ 3 პირი დასაქმდა. მაშინ, როცა შემოთავაზებულ ვაკანსიათა რაოდენობა იყო 15 და პროფესიათა სპექტრი: ელ.შემდუღებელი, ზეინკალი, მემონტაჟე, ელექტროობის სპეციალისტი. ხოლო, ანაზღაურება თვეში – 500–1500 ლარი დატვირთვის მიხედვით. უზრუნველყოფა ტრანსპორტით, სამუშაო ტანსაცმლით, ერთჯერადი კვებითა და ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო პაკეტით (მადლობა ბატონ მიხეილ ჯანაიშვილს). სამკერვალო საწარმო „იმერში“ ავტოქარხნის ოლქიდან დასაქმებულ იქნა 1 ქალბატონი (ანაზღაურება – 400 ლარი), რისთვისაც მადლობა ქალბატონ მაია სიმონიძეს. „ჰუალინგში“ დასაქმდა 2 პირი, ასევე, არის კიდევ რამდენიმე ადამიანის დასაქმების პერსპექტივა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში.

ერთჯერადი დახმარებისათვის მომმართა 269 მოქალაქემ, აქედან, მერიის დაფინანსებით, ერთჯერადი დახმარება მიიღო 112-მა პირმა, ხოლო მაჟორიტარის პატრონაჟითა და დაფინანსებით – 157-მა პირმა.

სხვადასხვა კლინიკებში მონახულებულ იქნა სასწრაფო დახმარების მიერ ავტოქარხნის ტერიტორიიდან მიყვანილი 305 ბენეფიციარი. გამოწერის შემდეგ მათ უმრავლესობას გაეწია უფასო ამბულატორიული მომსახურება. სხვადასხვა კლინიკებში მონახულებული ვერ იქნა 59 ბენეფიციარი იმ მიზეზით, რომ კლინიკაში დააყოვნა მხოლოდ ერთი დღე, ხოლო ნაწილმა პირველადი ამბულატორიული მომსახურება მიიღო.

2018 წლის 14–23 მაისს განხორციელდა 10 მოსწავლის ვიზიტი თურქეთის სხვადასხვა ქალაქში. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ექსკურსიები, საგანმანათლებლო და სამუშაო შეხვედრები ქართულ სათვისტომოსთან (ქალაქებში: უნიე, სამსუნი, ფაცა, რიზე), კონსულთან, ბატონ ავთანდილ მაქაცამესთან და ადგილობრივ თანატოლებთან. ზემოაღნიშნული ვიზიტი დაფინანსებულ იქნა სრულად ჩემი, ქალაქ უნიეს ჩექერთეფეს კლინიკის დირექტორის, ბატონ დავუთ დურაქისა და ქალაქ სტამბულის ბეშიქთაშის რაიონის აუდიტორული სამსახურის უფროსის, ადემ ჩელიქშენის მიერ.

თურქეთის რესპუბლიკაში ახალგაზრდების ვიზიტს ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონია. 2019 წლის 7 მარტს, ავტოქარხნის N 37 საჯარო სკოლის მოსწავლეები უფასოდ, სამი დღით იმყოფებოდნენ ქალაქ რიზეში, სადაც ითამაშეს სპექტაკლი „გამოძიება შეწყვეტილია“. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კონსული ტრაპიზონში, ავთანდილ მიქაცამე, ვიცე კონსული, გიორგი ყურშიტაშვილი, საკონსულოს თანამშრომლები, ქალაქ რიზეს ოჯახის ექიმი, ალი ილმაზი (ფანჯიკიძე), რეჯიფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის სტუდენტები, ამავე უნივერსიტეტის ქართული მიმართულების ასისტენტ - პროფესორი, ჰარუნ ჩიმქე და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები. ვიზიტი ორგანიზებული და დაფინანსებული იქნა ჩემი და რეჯიფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის მხარდაჭერით. ჩემსა და მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლის, ლიზი ლელაძის მიერ წაკითხულ იქნა საჯარო ლექცია ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში თემაზე: „მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქუთაისი და ცისფერყანწელები“, რომელსაც ესწრებოდნენ ხსენებული უნივერსიტეტის სტუდენტები.

ბავშვების კმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ სურვილი გაუჩნდათ ფილმის სახით ეჩვენებინათ სამდღიანი ვიზიტი თურქეთში. ამის საშუალება მათ „ხარაზოვის“ ბაღში არსებულ კულტურის ცენტრსა და ქალაქის მერიაში მიეცათ, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს თავჯდომარე, საკრებულოს წევრები, ქალაქის მერი და მერიის თანამშრომლები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი თურქი მეგობრები ამზადებენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების მიხედვით შექმნილ სპექტაკლს ქართულ ენაზე.

აქტიური კომუნიკაცია მაქვს პარლამენტის მაჟორიტარ წევრთან, ბატონ კობა ნარჩემაშვილთან. სისტემატურად ვესწრები შეხვედრებს. ერთად ვეცნობით მოსახლეობის პრობლემებს და ვიხილავთ ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტის გზებს.

2019 წლის 18 მაისს, ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში მცხოვრები 22 ბავშვი (11–12 წლისანი) საკუთარი პატრონაჟით წაყვანილ იქნა თურქეთში, სადაც საფეხბურთო გუნდმა ოთხი მეგობრული შეხვედრა ჩაატარა და გამარჯვებით დაბრუნდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მათ ნაზარიშვილის კლინიკაში უფასოდ ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება. ველოდებით თურქი ფეხბურთელების საპასუხო ვიზიტს და ამის შემდეგ იგეგმება მოცკვავეების წაყვანა თურქეთში.

რიზეს უნივერსიტეტში 2 კვირით უფასო სტაჟირების გავლას ვგეგმავთ მე, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი და სკოლის მოსწავლე.

ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „მოხუცთა კლუბის“ წევრებს საჩუქრად გადაეცათ სისხლში შაქრის განმსაზღვრელი და წნევის საზომი აპარატები, ასევე, რამდენიმე ტიპის სამედიცინო გამოკვლევა

ჩაუტარდათ უფასოდ. კლუბის წევრები, რომლებსაც ამბულატორიული კვლევა ესაჭიროებათ, სამედიცინო მომსახურებას ნაზარიშვილის სახელობის კლინიკაში ნებისმიერ დროს ანაზღაურების გარეშე მიიღებენ.

2018 წლის 30 ივნისს, ააიპ „სპორტული გაერთიანების“ სპორტული მედიცინის თანამშრომლებს უფასო ტრენინგი ჩაუტარდათ ქალაქ ქუთაისის დ.ნაზარიშვილის სახელობის კლინიკაში. ქალაქ უნიეს დოას კოლეჯის დირექტორთან მოხდა მოლაპარაკება, რომ ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში არსებული, ერთ-ერთი შერჩეული სკოლის ათი პერსონა (შვიდი მოსწავლე და სამი მასწავლებელი) თითო კვირა უსასყიდლოდ თავიანთ თურქ მეგობრებთან ერთად წავლენ ერთი კვირით მაძრიდში და ერთი კვირით ბარსელონაში, რაც, ვფიქრობ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სერიოზული, უპრეცედენტო შემთხვევაა. ასევე, სასწავლო პროგრამით, 10 ბავშვი (5 გოგონა და 5 ვაჟი) გაემგზავრება თურქეთში. 10 პერსონა ანალოგიური პროგრამით ჩამოვა ქუთაისში 10 დღით.

2018 წლის 5 ივლისს, ჩემი ინიციატივითა და მონაწილეობით, გაწმენდილ იქნა ხარებავას ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. 2018 წლის 7 ივლისს, ავტოქარხნის მაჟორიტარული ოლქის საზღვრების ობიექტების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს ნიკვას ქუჩაზე არსებული ტრენინგებისა და გადამზადების ცენტრში (ხელმძღვანელი სილოვან ჩინჩალაძე) ჩაუტარდათ უფასო ტრენინგი თემაზე: „სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტები და რეგულაციები“.

მუნიციპალიტეტის მიერ გაწმენდილ იქნა მდინარე ოლასკურას გარკვეული ნაწილი, კერძოდ, 400 მეტრიანი მონაკვეთი (ამოღებულია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები), გაფართოვდა მდინარის კალაპოტი და გაიწმინდა ნაპირი. ასევე ნაწილობრივი სამუშაოები ჩატარდა მდინარე ოლასკურის მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ ავტოქარხნის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის „ჰუალინგის“ პირველ შესასვლელთან არსებული მდინარე ოლასკურის გასასვლელი, რომელიც მოთავსებულია გზის სავალი ნაწილის ქვეშ და აქვს მართკუთხა ფორმა, საჭიროებს ორი დიდი კოლექტორის ჩასმას, რათა წყალი გადავიდეს მარჯვენა ნაპირიდან მარცხნივ. ეს არის ყველაზე რთული მონაკვეთი, ამიტომ, პირველ რიგში მოსაწესრიგებელია და ასფალტის საფარის აღდგენის შემდეგ, აუცილებელია „ჰუალინგის“ მიმდებარე ტერიტორიის წინ, სპეციალური სატრანსპორტო კუნძულის მოწყობა, რათა შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი, რაც შუქნიშნისა და კუნძულის არარსებობის გამო, არცთუ ისე ცოტაა.

გაითიბა ბალახი ავტომშენებლის ქუჩის N41 (ე.წ. აეროპორტის დასახლება), ხარებავას ქუჩის N4, N6, N7, N10 და N10ა–ს მიმდებარე ტერიტორიებზე, ლეჩავასა და შშიდობის ქუჩის ნაწილზე, ასევე, კიევისა და მოძუაშვილის ქუჩაზე მთლიანად. ჩატარდა სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია დადიანისა და ტოლსტოის ქუჩებს შორის N37 ბაგა-ბაღთან, მოძუაშვილის ქუჩის N4ა-ში, ავტოქარხნის მარჯვენა დასახლებაში, ბელიაშვილისა და გუნიას ქუჩებს შორის. მოეწყო სპორტული „ტრენაჟორები“ ხარებავას ქუჩის N3-სა და სარიტუალო დარბაზ „რაჭის“ მიმდებარე სპექტრში.

წარმოგიდგინთ სოციალურად დაუცველი ოჯახების ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების ნუსხას: ავტომშენებლის ქუჩა N41/45 – ინგა ოდილაძე, ანა კალანდაძის ქუჩა N33 – მაგული სოლომონია, სერგი მესხის ქუჩა მე-2 ჩიხი N16 – ვალია ბაკურაძე; სადარბაზოები: ავტომშენებლის ქუჩა N30 (1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზო), კ.მესხის ქუჩა N1ა (მე-4 სადარბაზო), ხარებავას ქუჩა N5 (მე-2 სადარბაზო), შ.დადიანის ქუჩა N55 (1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 სადარბაზო), მოძუაშვილის ქუჩა N10 (1-ლი, მე-2 სადარბაზო), მუსხელიშვილის ქუჩა N2 (1-ლი, მე-3 და მე-4 სადარბაზო), ავტომშენებლის ქუჩის 1-ლი შესახვევი N6 (1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზო); მოძუაშვილის ქუჩა N10 (კეთილმოწყობის კუთხით) კონკურსში გამარჯვებული ეზო, რომელსაც პროექტის წარმოდგენისა და განცხადების დაწერისთანავე გაუკეთდება რომელიმე ერთი ტიპის ინფრასტრუქტურული დახმარება. გასაკეთებელია მოძუაშვილის ქუჩის N10-თან მისასვლელი გზა (დასაზუსტებელი ფართი 270 კვ.მ. მასალა: დაწნეხილი ფილა).

სტიქიით მიყენებული ზარალის გამო, დახმარება გაეწია რამდენიმე ოჯახს.

მოწყობა შეხვედრა N37 სკოლაში ანრო ცირევიძესთან (ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, საკრებულოს წევრები), ჩატარდა ლექცია-ტრენინგი კადეტთა ლიცეუმში, რომელსაც ესწრებოდა ლიცეუმის 300-მდე მოსწავლე და მასწავლებელი.

ჩემი პირადი პატრონაჟითა და დაფინანსებით, ავტოქარხნის ფეხბურთელთა გუნდს უსასყიდლოდ საჩუქრად გადაეცა ევროპული სტანდარტის ფორმა. სამწუხაროდ, წელს პირველივე ტურში ავტოქარხნის გუნდი არაორგანიზებულობის გამო დამარცხდა საფიჩხიის გუნდთან (6:0). შარშან, ფინალში დამარცხდნენ ჭომის გუნდთან (1:0).

პირადი ინიციატივით დაიწყო განათლებით-შემეცნებითი პროექტი „ლიტერატურული სამშაბათობები“. მოსახლეობას, ახალგაზრდობას და აქტივს პირველი შეხვედრა ჰქონდათ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ზურაბ გორგილამისა და ფრიდონ ხალვაშის პრემიების ლაურეატთან, ახალგაზრდა პოეტ გენრი დოლიძესთან.

ქუთაისის N12, N14, N38, N37 საჯარო სკოლებში საკუთარი პატრონაჟით ჩატარდა მოსწავლეების მიერ პრეზენტაციები, ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლას შეუკეთდა და უსასყიდლოდ გადაეცა ჩემ მიერ, შოთა რუსთაველის ბიუსტი.

ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში, კერძოდ, ავტომშენებლის ქუჩის N31 კორპუსში, მერიის ბალანსზე რიცხულ შენობაში უნდა გაკეთდეს ახალგაზრდული ცენტრი, სადაც მოხდება ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტების განხილვა, ჩატარდება ტრენინგები, სემინარები.

2019 წლის 2 თებერვალს, ჩავატარე ტრენინგი პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრში „სურსათის უვნებლობა და ჰიგიენის ზოგადი პირობები“, რაც მნიშვნელოვანი საკითხია იმ მიმართულებით, რომ დაცულ იქნეს სურსათის/საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესები.

2019 წლის 2 აპრილს, საკუთარი და ავტომშენებლის ოლქის მაჟორიტარი წევრის, იმედა სალინაძის ინიციატივითა და კლინიკა „ჰერას“ მხარდაჭერით, ავტოქარხნის ორ მაჟორიტარულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სკრინინგ კვლევები. კერძოდ, სარძევე ჯირკვლის გამოკვლევა 40-დან 70 წლის ქალბატონებისთვის, ხოლო მამაკაცებისთვის სისხლში „PSA“ ანტიგენის გამოკვლევა, 50-დან 70 წლის ჩათვლით. ამასთან, კლინიკა „ჰერასში“ ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი, რომელიც იაპონიის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული და მობილური კლინიკის ფუნქციონირებას ითვალისწინებს. უახლესი აპარატურით აღჭურვილი მობილური კლინიკა კიბოს სკრინინგის ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. კლინიკა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით იმპრავებს და მსურველებს გამოკვლევებს სტაციონარში მისვლის გარეშე ჩაუტარებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ აქციაზე მხოლოდ 13 ბენეფიციარი მოვიდა.

მნიშვნელოვანია აქტივობა ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლების კუთხით. შეხვედრა-გასაუბრება მქონდა ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში მცხოვრებ უცხო ენისა და ზოგადი განათლების, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებთან, რომლებიც შეირჩევიან და ჩაერთვებიან როგორ ადგილობრივ, ასევე „Erasmus+-ის“ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, ასევე, ექნებათ შანსი გაიარონ სტაჟირება საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში. გაცვლით პროგრამაში უკვე უფასოდ ჩაერთო ხარებავას ქუჩის N7 ბ. 111-ში მცხოვრები ინდირა თოდაძე და ხარებავას ქუჩის N 3 ბ. 5-ში მცხოვრები ნინო ცაგურია. გასაუბრებაზე მხოლოდ 10 პიროვნება გამოცხადდა.

დაგეგმილია სტუდენტების სასწავლო გაცვლით პროგრამაში, სლოვაკეთსა და საფრანგეთში უფასოდ წასვლა.

ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში საკუთარი პატრონაჟითა და დაფინანსებით ჩატარდა სერიოზული გაწმენდითი სამუშაოები.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შიდასაფრენოსნო ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პერსპექტიული საქმე გახლავთ. მოძიებული მაქვს 70-მდე სამუშაო ადგილი, რომლებიც შეთავაზებულ იქნა მოსახლეობისათვის, რასაც დაინტერესება არ მოჰყოლია.

2018 წლის 11 ივლისს, ჩემი ინიციატივით, საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ნიკა ლატარიას თანხმობით და საკრებულოს წევრების თანადგომით, ავტოქარხნის მაჟორიტარული ოლქიდან წარმოდგენილ იქნა 10 ახალგაზრდა, რომლებმაც 1 დღის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს მუშაობაში და ჩემ მიერ, დარბაზში ჩატარდათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული ტრენინგი თემაზე: „თვითმმართველობის თანამედროვე მენეჯმენტის ზოგადი საკითხები“, რაც მათთვის ნაყოფიერი იყო.

2019 წლის 29–30 მარტს, ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებთან შეხვედრისას დაიგეგმა სკოლებში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის ეგიდით, შოთა რუსთაველის კუთხეების მოწყობა და დაანონსდა პროექტი „ვეფხისტყაოსანს კითხულობენ მოსწავლეები“.

„ქალაქ-მუზეუმის“ მაჟორიტარულ ოლქში არსებულ მეცხრე და მეთორმეტე საჯარო სკოლაში, „უქიმერიონის“ ოლქში მდებარე N2 და N 7 საჯარო სკოლაში, „გამარჯვების“ ოლქში არსებულ მეათე საჯარო სკოლაში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის ინიციატივით, რომლის თავმჯდომარე გახლავართ, გაიხსნა რუსთაველის კუთხე/კაბინეტები.

2019 წლის 30-31 მაისს იგეგმება ავტოქარხნის მე-15 და „ვაკისუბნის“ მაჟორიტარულ ოლქში არსებულ 30-ე სკოლაში რუსთაველის კუთხის გახსნა. წლის ბოლომდე ყველა სკოლაში გაიხსნება რუსთაველის კუთხე.

ავტოქარხნის მაჟორიტარულ ოლქში არსებული საჯარო სკოლები საჭიროებს რეაბილიტაცია/რემონტს, განსაკუთრებით N14 საჯარო სკოლა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს.

ქუთაისის N37 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას საზეიმო ვითარებაში, ქართველი პოეტის, ზურაბ გორგილაძის სახელი მიენიჭა. სკოლას საჩუქრად გადავეცი პოეტის ბანერი და რამდენიმე ათეული წიგნი – სკოლის ბიბლიოთეკას. ღონისძიებას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და აჭარიდან მოწვეული პოეტის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. სკოლაში ჩემი პატრონაჟითა და დაფინანსებით, მოწვეულ იქნენ ქობულეთის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც ამავე სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩაატარეს ზურაბ გორგილაძის საღამო.

ჩემი პირადი ინიციატივით, პატრონაჟითა და დაფინანსებით, 2019 წლის 9 თებერვალს ქალაქ ქუთაისში, ხარგბავას ქუჩაზე, შოთა რუსთაველის სახელობის სკვერი მოეწყო, სადაც შოთა რუსთაველის ბიუსტი, ქართული ანბანისა და „ვეფხისტყაოსანის“ მოტივებზე შექმნილი კომპოზიციები განთავსდა. სკვერს არაერთი მნახველი სტუმრობს, მათ შორის, აღსანიშნავია სტუმრების ვიზიტი თურქეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და ისრაელიდან.

მიმდინარეობს მაჟორიტარული ოლქის სრული აღწერა, გარდა ამისა, უახლოეს მომავალში იგეგმება მობილური კლინიკის მოწყობა მოსახლეობის სკრინინგის/გასინჯვების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

მზად ვარ, ყველა მაჟორიტარულ უბანში მოძრავი კლინიკის დახმარებით, ჩავატარო უფასო სამედიცინო მომსახურება. განათლების კუთხით, ორგანიზება გავუწიო მოსწავლეებისა და სტუდენტების გაგზავნას საზღვარგარეთ სტაჟირებისთვის(უფასო) დამმობილებულ ქალაქებში. აქტიურად შევუწყო ხელი ქალაქის სკოლებსა და მაჟორიტარულ ოლქებში შეჯიბრების მოწყობის თაობაზე ფრენბურთის ფედერაციის მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელებას. ჩემი ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2019 წლის ბოლომდე, ქალაქის ყველა სკოლაში რუსთაველის კაბინეტის გახსნას.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 სხდომაზე, 2019 წლის 29 მაისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მერაბ კვიციანიძის მიერ.